

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რაიონის საკრებულო-კოლმედიკური გაზეთი

№26 (6572) 1 ივლისი

1988 წელი

ხუთშაბათი

რაიონულ საკრებულოში

რწმუნის მსხვერპლთა და მათი ოჯახებისათვის

რაიონული საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა, ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების, დაინვალირებულითა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

გამგეობაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა, ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების, დაინვალირებულითა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული მუშაობა გატარდა გამგეობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის მარტში აგრეთვე წინასწარ ცაგერის განყოფილებაში შეიქმნა ფონდი. შეიარაღებული კონფლიქტების ორ მონაწილეს, რომლებიც გაწვეული იყვნენ ცაგერის სამხედრო კომისარიატიდან, მიეცათ ერთდროული ფულადი დახმარება, ხოლო სხვებს შესაძლებლობის პირობებში ეძლევათ მატერიალური დახმარებანი სასურსათო პროდუქტების ნორმის ზევით გამოყოფის და

სხვათა სახით. გამგეობაზე ამასთან აღინიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა, ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების, დაინვალირებულითა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეული საქმიანობა რაიონში არასაკმარისია.

საკრებულოს გამგეობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრების, დაჭრილთა და დაინვალირებულითა დახმარების, აღრიცხვისა და სოციალური ღონისძიებების ორგანიზაციისათვის შექმნა რაიონული კომისია.

კომისიას დაევალი უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ომიდან დაბრუნებულ მეომართა შრომითი მოწყობის, მათი მკურნალობის ორგა-

ნიზაციის, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის და სხვა საკითხები. აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა, ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახების, დაინვალირებულითა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გაწეული საქმიანობა რაიონში არასაკმარისია.

საფინანსო განყოფილებას დაევალი რაიონის ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინოს შესაბამისი თანხების გამოყოფა.

რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაწესებულების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის განყოფილებას დაევალი მიმდინარე წელსვე და ყოველწლიურად უზრუნველყოს ამ მოქალაქეთა სანიტარულ-კურორტული ჰურორნალობა, დასვენების ორგანიზაცია და შესაბამისი დაფინანსება.

სამხედრო კომისარიატს დაევალი უახლოეს პერიოდში უზრუნველყოს საომარ კონფლიქტებში ყველა მონაწილის აღრიცხვა.

საპატრიარქოს მისია

ც ა გ ე რ მ ი

მს. ბოლო კვირა ღირსშესანიშნავი მოვლენებით იყო აღსავსე. მორწმუნეთათვის საქართველოს საპატრიარქოში გადგო ჩვენი დიდი ხნის წუხილი იმის გამო, რომ ცაგერის ღვთისმშობლის მძინებლის ეკლესია დაეცა, არ არის საძირკვლები, არ მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და ლეჩხუმს ეწვია საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი მამა პავლე პასკევი იგი შეხვდა მრევლს კულტურის სახლში. აქ წაიკითხეს და შემდეგ განმარტეს ბიბლიის პირველი თავი. შაბათს ჩატარდა წირვა-ლოცვა, წინამძღვარი წირავდა, მგალობლები გალობდნენ.

კვირა დღითაც ჩატარდა წირვა. წირვის დამთავრების შემდეგ მამა პავლემ მცირერიცხოვან მრევლს სიტყვით მიმართა. აღსანიშნავია, რომ შედგებოდა ქალაქის ცურთხევის ცერემონიალი და მსურველებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ამის შემდეგ პროცესია ქალაქის ქუჩებისა-კენ გაემართა. წინ მიდიოდნენ სანთლითა და ხატებით ხელდამშვენებული ბავშვები, მამა პავლე საკ-

მძევლს ჩემედოდა და ნაკურთხე წყალს ასხურებდა მაგალობლები შეუჩერებლად გალობდნენ. პროცესიამ გარს შემოუარა ქალაქს, წინამძღვარმა დალოცა იგი და კვლავ ტაძარში დაბრუნდა. აქ მრევლს დაურიგდა წმინდანის ხატები.

აუცილებელი იყო სიძულველის კურთხევა, რადგან აგერ ჟუკე წელიწადზე მეტია ცაგერში მოძღვარი აღარ არის და მიცვალებულთა უმრავლესობა უზიარებელი, ქრისტიანულად წესის აგების გარეშეა. დასაფლავებული, ამიტომ საფლავის მძიწის კურთხევა მამა პავლეს სტუმრობის უმნიშვნელოვანესი მომენტია.

ეს დღეები მორწმუნეთათვის ზეიმად იქცა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ქვეშაირი მორწმუნენი, როგორც ჩანს, ცოტანივართ, რადგან წირვა-ლოცვასა და მამა პავლეს მიერ ჩატარებულ სხვა რიტუალებს მცირე ხალხი ესწრებოდა. ნუთუ სხვას არავის სწამს ღმერთი და არ ღუგის ჩვენი მოძღვარი გვყავდეს?

ზიზი უფარაძე.

* * *

ორშაბათს, 28 ივნისს, ცაგერში საპატრიარქოს

დელეგაციის სტუმრობის ბოლო და აღბათი,

ქველავი ღირსშესანიშნავი დღე იყო. ჩვენ არ

აჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი გავხდით—

მამა პავლემ „მწვანე თეატრში“ ჩამომაგალ

მთის პატარა მდინარეში მონათლა 20-ზე მეტი

აღმსახურებელი. ამ წვიმიანი და ცივი, მაგრამ ნათელი

დღის რამორტაშს ჩვენი გაზეთის მომავალ ნომ-

ერში უამოგთავაზებთ.

ეკონომიკა

მეაბრეშუმეთა «რთველი» იწყება

ქართული აბრეშუმი თავის ღირსებას არასდროს არ დაკარგავს, ჰირჩით, ახლა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის, საბაზრო ეკონომიკის გადარსების ამ ურთულეს პირობებში იგი ბატონობის გაცვლის საუკეთესო სამრეწველო პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს.

წლებულს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე „რაიბრეშუმის“ სპეციალიტებმა შეძლეს 8450 გრამი გრენის გავრცელება, იყო წინააღმდეგობები, პრეტენზიები, პური არ მოგაქვთ, არაფერს გვცხმა-

რებით, ანაზღაურება და ბალია, მოწვევა რომ შევძლოთ, დამამზადებელ პუნქტში მიტანას ვერ შევძლებთო, და ვინ მოთვლის, რა საყვედურებით არ აავსეს გრენის გასაფრცხვლებლად ადგილზე მისულები. ამიტომაც, რომ რაიონში არის სოფლები (თაბორი, სურმუში), სადაც არცერთი ოჯახი არაა ისეთი, რომელსაც დარგი-საღმის გულშემატკივრობა, ქვეყნის ბედით დაინტერესება გამოეჩინოს და რამდენიმე გრამი აბრეშუმის მურის მოვლა მაინც ეპყროს. ამ მხრივ კული მდგომარეობა ისუნდერში,

მახურაში, ზუბში, ოყურ-ეში, ღვირში, რეგიონში (19 მეაბრეშუმეა). გულსატკენია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეაბრეშუმეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა ისეთი ტრადიციების მქონე სოფლებში, როგორცაა ლაილაში, ალაშა, ტვიში, ორხვი და ქორენიში. სადაც აბრეშუმის კიბის მოვლის სურვილი მხოლოდ 35-მა მეაბრეშუმემ გამოთქვა, არადა საკვები ბაზა არის. ერთი კილოგრამი პარკის საშუალო ღირებულება კი 1000 მანეთია. ცხოვრება დღითიდღე ძნელდება და ამ დუხჭირდროში არ გვგონია ვისმეს

მორჩენოდა ორი კაპიკა არის სოფლები, სადაც თუთის ნარგავებიან ნაკეთებს ქალაქიდან მოსულები დეპატრონენ და სოფლის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული სიფხიზლე და კონტროლია საჭირო, რომ ძლივს ფეხზე დამდგარი საკვები ბაზა, თუთა უმოწყალოდ არ დაიჭრას, განადგურდეს. მაღლობა ღმერთს, რომ გამოჩნდნენ აღამიანები, რომლებსაც ბევრი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირდათ, საყვარელ საქმეს ვერ უღალატეს. წელს აბრეშუმის მური მოსავლელად 526-მა მეაბრეშუმემ გაიყვანა, კარგი წელიწადი

დაუდგათ ჩვენს მეაბრეშუმეებს მოვლა შეიძნეს ჭიებმა და არავითარი ავადმყოფობა არ გასჩენია, (ისე განვლეს ეს დღეები. დაავადდა მხოლოდ რაიონის გარედან თვითნებურად შემოყვანილი ჭიებით—გვითხრა რაიბრეშუმის დირექტორმა დავით სალინაძემ.

აი, უკვე დადგა ნაშრომის შედეგების სერეოდო, პარკსაშრობი ყოველწლიურად მომზადებული ხვედბა სეზონს. ნაშრომის ანაზღაურება ჩაბარებისთანავე მოხდება, ღმერთმა ნუ ქნას, ისე გაწამდნენ, როგორც შარშან.

ჯ. მანდარია.

ინტერვიუ

მამა პავლე: «ერი და ეკლესია ერთია»



რამდენიმე დღის წინ ცაგერს ესტუმრა საპატრიარქო მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი პავლე (ფაჩუაშვილი). გთავაზობთ ინტერვიუს მამა პავლესთან.

—თქვენი ცაგერში სტუმრობის მიზანი?

—საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების მიზანია ქართველთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა და განმტკიცება.

—ცაგერში ჩამოვედით აღგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით. თქვენი წარმომადგენელი (როგორც გავიგეთ, ჯემალ ჩიკვაძე-აეტორი) იმყოფებოდა საპატრიარქოში, შეხვდა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს და განაცხადა რომ ცაგერის რაიონში არ არის სასულიერო პირი, მრევლი მოძღვრის გარეშე დარჩა, რის გამოც რაიონში განსაკუთრებული მდგომარეობაა, და მოსახლეობა ითხოვს სასწრაფო დახმარებას. უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის სამდივნოს დაგვლიბით მე, და ჩემთან ერთად მორჩილები წაღია და ქეთევანი ჩამოვედით ცაგერში.

რა არის მიზეზი, რომ ახდენი ხნის მანძილზე ცაგერის ეკლესიას არა ჰყავს მღვდელი?

—ასეთი მდგომარეობა, როგორც თქვენთანაა, სამწუხაროდ, საქართველოს სხვა რაიონებშიც არის. არის რაიონები, სადაც საეროდ არ არის სასულიერო პირი. სამწუხაროდ, მღვდლების რაოდენობა საკმარისი არ ღირს, გვაქვს სარწმუნოებისათვის თავდადებული მსახურები, ჰეშმარიტი მოძღვრანი. ჩვენს ერში არის პოტენციური ძალა, ეს პრობლემა მოგვარდეს. მთავარია გაერთიანდეს ერი და ეკლესია.

დღეს ადამიანი ფიქრობს, რომ თითქმის ეკლესია არქაულია. ზოგჯერაც მავანი ვერ პოულობს თავის შესაფერის მოძღვარს, და ასეთ შემთხვევებში, იმის მაგივრად, რომ თვითონ მოუაროს ეკლესიას, იძიოს პრობლემების დაძლევის გზა, პროტესტს აცხადებს იქ შესვლაზე. ეკლესიაში უფრო მეტად ჭირს საშუალო ასაკის მსახურნი.

მე პირადად, საერო სპეციალობით ფიზიკოსი ვარ. როდესაც ეკლესიაში მოვედი, ვიგრძენი, რომ აქ ნებისმიერი მსახურება მძიმე ტვირთია, ერთდროულად რამდენიმე მოვალეობის შესრულება გვიწევს. ამიტომაც სასურველია, თუ ეკლესიაში ჩვენთან მოვლენ ჰეშმარიტი ქრისტიანები მათ შეუძლიათ უმაღლესი განათლება მიიღონ სასულიერო აკადემიაში, სადაც სწავლობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. თუ თქვენი რაიონიდანაც ვინმეს სურვილი გაუჩნდება სასულიერო აკადემიაში სწავლისა, დავხმარებით.

როგორც იცით, ცაგერი ლენხუმ-სვანეთის ეპარქია ღრობით ეკუთვნოდა ქუთათელ-გაინათელ მიტროპოლიტს კალისტრატეს. ზოგადად ვიცი, რომ მიუხედავად სურვილისა, მღვდლების რაოდენობის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ცაგერის ეკლესიისათვის მღვდლის შერჩევა. ამჟამად ცაგერ-ლენხუმ-სვანეთის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსია მეუფე თადეოზი, რომლის რეზიდენცია წესისამებრ ან ცაგერში, ან სვანეთში შეირჩევა. —როგორ შეიძლება ცა-

გერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება?

—ჩვენს მხრიდან ასეთი კონკრეტული წინადადება გვაქვს, იქნებ მოხდეს, რომ თავად ხალხის მიერ აირჩიოს საერო პირი, რომელსაც ეწოდება ეკლესიის მხედარი და რომელიც წარუძღვება ეკლესიის სამეურნეო საქმეს. მან უნდა უზრუნველყოს ეკლესიის მოსაზრება საპატრიარქოდან სპეციალური ლიტერატურით, სახითლებით, სარეალიზაციო ხატებით.

მასვე შეუძლია ჩვენამდე მოიტანოს ხალხის სატიკური, წინადადებები, სულოვები.

თქვენთან ეკლესია წესრიგშია, ხალხიც მორწმუნეა. შეიძლება ეკლესიაში ჩატარდეს ლოცვითი შეკრებები, აღიხიზოს საეკლესიო დღესასწაულები.

—შეიმჩნევა რელიგიური სექტის „იელვას მოწმეების“ გაქტიურება. მათ მოიცვეს რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი. რას იტყვით ზემოთქმულის შესახებ?

ჩვენ ვფიქრობთ, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია—გავეთიანდეთ ეკლესია და ერი. თავად, ჩვენ, რომ იაიმე კონკრეტული ამკრძალავი ღონისძიებები ჩავატაროთ საპატრიარქოდან, არ მოგვეცემს სასურველ შედეგს.

ზოგადად თანამედროვე ადამიანი გულდახურულია, ბულის გახსნას ერიდება. საერო ცხოვრებისას ჩვენ ვცხოვრობთ პრინციპით, ჩვენს გარშემო შეგვქმნათ თავდაცვის მექანიზმი. ეს კი ქმნის გაუცხოებას სხვების მიმართ.

მღვდელთან უნდა მიხვიდე, როგორც სულიერ მოძღვართან. განშორება ეკლესიასთან ახდენს ეკლესიისა და ერის თანაცხოვ-

რების პარალიზებას.

არსებობს ეკლესია ერში გაცხადებული. ერი და ეკლესია სიხონიმიდია გავიხსენოთ, რომ გაქართველებმა ნიშნავდა გაქრისტიანებას, თავად ვიზრუნოთ, რომ ეკლესია და ერი გაერთიანდეს, ერში აღვადგინოთ წარსულის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. მოგვხსენებათ ძალა ერთბაიად და ასეთ დროს ვერც „იელვას მოწმეები“ თუ სხვები ძივლებს ერთან.

მე შეგხვდით მათ მქადაგებლეს. ვფიქრობ, ამ ადამიანებთან შეიძლება ურთიერთობა, ვცდილობ ამ ადამიანების მოქმედებას არ მივცე მორალური შეფასება, არ დავსდო ზნეობრივი მსჯავრობა. მე მიხდა დავიხსახო მათი ძიება არა მატერიალურის, დავინახოთ მათში დაინტერესება სულიერით, ამაღლებულით. ეს არის ძიება არსებული მატერიალური პრობლემებიდან იზოვირ გამოსავალი ყოველი ძიება კი არ ჰიგვიყვას ჰეშმარიტებამდე. დღევანდელი ადამიანი ამბობს: „ასეთ ყოფას ყველაფერი სჯობია“. ეს მცდარია. ფიზიკურ სიკვდილზე ძნელი სულიერი სიკვდილია.

—ვინ აფინანსებს „იელვას მოწმეებს“?

—მე მსურს გავამჟღავნო ეს კითხვა. აქ ლაბარაკია დიდ თანხებზე. მათ გაჩნიათ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ლიტერატურა, რომელიც არ არის დაბეჭდილი ჩვენს რესპუბლიკაში. აქვთ საშუალება პროდუქტებით დაეხმარონ ადამიანებს. ეს კი ზრდის მათ პრესტიჟს.

ამ სექტის ცენტრი აშერიკაშია, კერძოდ, მთავარი ცენტრია ბრუკლინი (აშშ) მათ აფინანსებენ ამერიკელი ბიზნესმენები. ზუ და გვაიწყდება, რომ ბიზნეს-

მენი-არტისტები კაცობრივად არ გაიღებენ. ის ემეტს მოგებას. ყველაფერი საოიძაოთება პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის, რომელიც შეძლეგ ისევ მატერიალურს მოიტანს. არის ფილიალები რუსეთის დიდ ქალაქებში, მტაბი აქვთ სახე-პეტერბურგში. მათი მქადაგებლები ცაგერშიც ახორციელებენ ქორსა და ეკლესიის განცალკავებას, ერის გახლეჩას, აცხელს უწყობს პოლიტიკურ არასტაბილურობას. გავიხსენოთ, რომ უფალი არაბებს: „ბოლო დროს მრავალნი აღსდგებიან ცრუწიხასწარმეტყველები და ცოლუ მოძღვარებ, რომელნიც ჩემი სახელით დიდ სასწაულებს მოახდენენ. ისინი მოვლენ განკითხვის ეამს, მეტყვიან, უფალი არა სახელითა შენითა სწეულთა ვაურნებდით, უძლურთა აღვადგინებდით, ემძაკთა გახვასამდით და მე ვეტყვი მათ, არა გიცით თუკვ, განვედით ჩემგან, პოი, მოქმედნი უსჯულოებისანი.“

—რა საქმიანობას ეწევა საპატრიარქო ერთაშორის შუღლისა და მტრობის აღკვეთისათვის?

—აფხაზები ისტორიულად ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარნი არიან. გუდაუთაში ამჟამადაც მოქმედებს მართლმადიდებლური ეკლესია, თუმც ამ ეკლესიის გავლენის სფერო სუსტია.

დღესათვის აფხაზეთში უფრო არარელიგიური ხალხი არიან. მაგრამ მაინც ვცდილობთ მტკიცე კავშირი დავამყაროთ გუდაუთაში ეკლესიის მსახურებთან, რათა სარწმუნოების ერთიანობამ მოგვაძენინოს მშვიდობის განმტკიცების გზა. ესაუბრნენ

პ. მანდარია.
ლ. ცხველიანი.

მშვიდობა იხსნის სამყაროს

ესტუმრეთ, კრ მკაცრებით

ამ ათიოდე წლის წინ ჩვენს ქალაქში სამხატვრო გალერეის გახსნის იდეას უჩაუბლო ენთუზიზმით შეხვდა რაიონის ახალგაზრდობა, ალბათ ენაც იმო მიზანი, რომ გალერეის შენობა მდებარეობდა აივანში, შენობის მომხმარებელმა არაბიძგარულმა ფასადმა, კარგმა საგამოფენო დარბაზმა და, რაც მთავარია, გამოჩენილ ქართველ მხატვართა ნაშრომებმა გალერეის არსებობის პირობები დაეაფიქრა. მიიჩნია ხალხმწიფის თანაუბრისათვის. მას შემდეგაც არაერთი ცნობილი ქართველი მხატვრის ნაშრომები დაეთმო ადგილი საგამოფენო დარბაზში, ამ შემთხვევაში გვინდათ ფარავალი ბილბოდი, შედარების, ამერიკის, ხალხმწიფის ნიშნები. სამხატვრო გალერეა იქნა ათიოდე მასივალად მათთვის, ვისაც ქართული ხელოვნება საკუთარი სულის საზრდოდ გაუხდია.

ტრადიცია გრძელდება, გალერეა კვლავ იზიდავს მხატვრობის მოყვარულთ. საგამოფენო დარბაზში ამჟამად წარმოდგენილი ნამუშევრები თერჯოლის სამხატვრო გალერეის ქუ-

თვნილება. თერჯოლელები თურმე კარგა ხანა ელიან ან ნამუშევართა უკანდაბრუნებას. მაგრამ საწვავის დეფიციტის გამო მათი დროული გადაზიდვა ვერ მოხერხდა.

ცაგერის სამხატვრო გალ-

ერეაში დაგეგმილია ახალი გამოფენის მო-

წყობა. რასაც პრობლემა შეიძლება, მხოლოდ სურვილით კი საქმე ძნელად კეთდება.

თუმც არსებული გამოფენაც ბევრი ჩვენი თანაქალაქელისათვის იქნება ახალი. გვითხრეს სამხატვრო გალერეის თანამშრომლებმა. სამწუხაროდ, ეს მწარე სიმართლეა, რომლის ახსნასაც, ვიცი, შეუძლებელია იმ მიზეზით, რომ სსსრ-ის დემოკრატიზაციის კამპია და მხატვრობისთვის ვინ მოიცლისო. თუ ასეა, დაგვიწყებია, რომ ჩვენი გადარჩენის დიდი ძალა ერის სულიერი განმტკიცება, რომ ქართველები ბუნებით შემოქმედნი ვართ და ამიტომაც ვერ ვითარი გაუხადისი ყოფა-

ვერ ჩაკლავს ჩვენში ღვთისაგან ნაბოძებ ხელოვნების ნიჭს. ჩვენივე წარსულია ამის დასტურია, ქართული სულის უკვდავებამ გადაარჩინა ქართული ჯიშო.

შემეჩინებდა აღვივებს თანადგომისა და სიყვარულის გრძნობას, სწორედ ამ გრძნობის თაყვანისმცემლებად იზრდებიან სამხატვრო სკოლის აღსაზრდელები, რომელთა შემოქმედებითი ნიჭიც სამხატვრო გალერეის კედლებში ყალიბდება. ახლა სკოლას არ დადევნებ აქვს და ამიტომაც არ მოგვეცა საშუალება წორჩი მხატვრების გაცნობისა.

დადავწყვიტეთ სამხატვრო სკოლის პედაგოგების უშუალო მონაწილეობით მოეწყოს გამოფენა-გვიოხრა სამხატვრო გალერეის დირექტორმა მაგული ლურჯუმალიძემ. შესაძლებელია ამ გამოფენაში რაიონის მკვიდრმა თვითნაწა-

ვლმა მხატვრებმა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები. მათ გვერდით ნორჩების შემოქმედებასაც დავეთმობდით ადგილს.

როგორც საუბარში გამოიკვეთა სამხატვრო გალერეის თანამშრომლები მზად არიან დაეხმარონ ყველას, ვისაც სურვილი აქვს ლენხუმელებს გააცნოს თავისი ნამუშევრები. გალერეას გაჩნია ნებისმიერი სახის ნამუშევრის შენახვის პირობები.

გაზაფხულ — ზაფხულში გალერეის დამთვალიერებელთა რიცხვი შესამჩნევად იზრდება. ლენხუმელთა სტუმრებიც ეწვევიან საგამოფენო დარბაზს. სამხატვრო გალერეის მესვეურებს განზრახული ჰქვთ ღირსეული მასპინძლობა გაუწიონ დამთვალიერებლებს.

ლ. ცხველიანი.



სპორტული

რაგბის სპორტის განვითარება...

ქალაქის სპორტდარბაზის შენობიდან გულშემატკივართა ხმაური და შეძახილები გამოდიოდა. სწორედ ამ დროს მომინდა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან ბატონ დავით მუშუდუანიანთან შეხვედრა.

პირველ კრიგში დაინტერესდით, რა შეჯიბრება ტარდებოდა.

— გუშინ და დღეს სპორტკომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ინიციატივით სპორტდარბაზში მიმდინარეობს კომერციული შეჯიბრება ფრენბურთში ვაჟთა შორის. ეს შემდეგნაირად ხდება: გუნდებს შემოაქვთ წინასწარ გარკვეული თანხა, რომელიც შემდეგ მთლიანად უბრუნდება ჯილდოების სახით გამარჯვებულებს. ასეთი გათამაშება ჩვენ თებერვლის თვეში ჩავატარეთ მინიფეხბურთში, რამაც დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია. ახლაც ხედავთ მაყურებელთა ვნებათაღელვას. ჩვენ ვფიქრობთ, კვლავაც მოვაწყოთ ასეთი თამაშები სპორტის სხვა სახეობებშიც.

რა მდგომარეობაშია სპორტული ბაზები და სასპორტო ინვენტარი?

კიდევ კარგი, რომ ამ დღეებში კარგი ამინდებია, თორემ ეს თამაშები ალბათ ვერ ჩატარდებოდა. სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი სპორტდარბაზი, სახურავი მთლიანად გაუვა რისხვულია, კედლებსა და იატაკს კი თქვენ თვითონაც კარგად ხედავთ, რა დღეშია, ღია მოედნები ჭერჭეროვით დაცულ-მოკლილია, თუმცა მათი დაცვის საქმე ვერ არის მთლად კარგად. რაც შეეხება ინვენტარს, ორი წელია, არც ერთი კაპიის საფასური არაფერი შეგვიძენია. ყოველივე ამის შესახებ საკითხი დაფიქრებ

ამას წინათ გამართულ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, მოვახსენე აგრეთვე ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც, მაგრამ ვერც იქ და ვერც აქ ჭერჭეროვით იმედს ვერ გვაძლევენ.

— გყავთ პერსპექტიული სპორტსმენები?

— მაისში თბილისში ჩატარდა რესპუბლიკის პირველობა ფრენბურთში, სადაც ჩვენი რაიონის მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა. გუნდის ოთხი წევრი შეეძინა რესპუბლიკურ ნაკრებში. იზრდებიან აგრეთვე კარგი მოჭიდავეები,

კალათბურთელები, ფეხბურთელები.

— სპორტულ კადრებზე რას გვეტყვით?

— რაიონში სპორტის განვითარების საქმეს 30 ხელფასიანი მუშაკი ემსახურება. ამათგან უმაღლესი განათლებითაა—17, საშუალო-ტექნიკური განათლებით—13. ეს კადრები ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნებს, მაგრამ ჩვენი ახალ გაზრდების ერთი ჯგუფი სწავლობს შესაბამის ფაკულტეტებზე უმაღლეს სასწავლებლებში და მივიღებთ შევსებას.

ჩემი რესპონდენტის პასუხებიდან ყველაზე საინტერესოა ის ტექნიკური ფრენბურთის მოსწავლეთა გუნდიდან ოთხი ჯაბუკი რესპუბლიკურ ნაკრებში შეიყვანეს, თანაც ერთი სკოლიდან. პროფესიული დონეობისა და შესაძლებლობათა გამოვლინების საშუალება რომ იყოს კიდევ რამდენი ტალანტი გაეზრდებოდა საქართველოს. იმედია, რომ ჩვენ იფიქრებს ამ პრობლემების მოგვარებისათვის, რაც ქართულ სპორტს წაადგება.

თამარიკო ნამსწვარიძე.

ტრადიციული გახდება

22-23 ივნისს ცაგერის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონული კომერციული პირველობა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.

თამაში მიმდინარეობდა ორ ჯგუფად წრიული სისტემით. პირველ ჯგუფში მონაწილეობდნენ სხაშის, ლასურიაშის, „შევარდენის“ გუნდები. პირველი შეხვედრა შედგა ლასურიაშისა და სხაშის გუნდებს შორის, გაიმარჯვა ლასურიაშის გუნდმა სხაშარ

იშით 2:1. ამავე გუნდმა გაიმარჯვა „შევარდენის“ გუნდთან თამაშისას.

მახაშისა და „შევარდენის“ გუნდების შეხვედრა მახაშელთა გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით 2:0.

მეორე ჯგუფში მონაწილეობდა „ობობას“, ატკ-ს, ჩხუტელის ფრენბურთელთა გუნდები. ჯგუფის პირველი თამაში ატკ-ს „ობობას“ შორის დამთავრდა ატკ-ს მოგებით (ანგარიშით 2:1). ჩხუტელი „ობობას“ გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა

„ობობამ“, მესამე თამაში ისევ ატკ-ს გუნდის მოგებით დასრულდა.

ნახევარფინალში ლასურიაში „ობობას“ გუნდების შეხვედრა დასრულდა ანგარიშით 2:0 და ფინალში გავიდნენ ლასურიაში ფრენბურთელები. მახაშის ატკ-ს გუნდების შეხვედრაში გამარჯვებით მახაშის გუნდმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

ფინალური შეხვედრა ანგარიშით 2:0 მოიგო ლასურიაში გუნდმა, ხოლო მახაშის გუნდმა მოიპოვა მეორე ადგილი. მესამე ად

გილზე გავიდა „ობობა“, ხოლო მეოთხეზე ატკ-ს ფრენბურთელთა გუნდები. როგორც აღნიშნეთ ასპარეზობა კომერციული იყო, შემოტანილი თანხებიდან გამარჯვებულებს ფულადი მოგებები გადაეცათ. სპარსო ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

ფრენბურთელთა ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

თ. სალინაძე.

სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე.

ფრთხილად, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზია!

მოსახლეობის და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა საპუბლიკო

სტიმულისა და კავშირებით ძლიერი ქარის, წვიმის, ჰემა-ქუხილის, მიწისძვრების, საყრდენებზე ეტომანქანების, მექანიზმების დაჯახებითა და სხვა მიზეზების გამო ადგილი აქვს ძლიერი ელექტროგადამცემი ხაზის სადენები, გადახაროს, მოწყდეს და წაიქცეს საყრდენები, დაზიანდეს ელექტროგადამცემი მოწყობილობა.

ვაფრთხილებთ მოსახლეობასა და ბავშვებსა საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის ქვეშ გავლისას შეხედეთ, ხომ არ აგდია მიწაზე გაწვეტილი სადენი ან ხომ არ არის დარღვეული დასაშვები მანძილი სადენსა და მიწას შორის. მოშვეტულ, გაწვეტილ ან მიწაზე დაგდებულ სადენს არ მიუახლოვდეთ მ მეტრზე ახლოს, გაწვეტილ, ჩამოშვებულ, მიწაზე დაგდებულ სადენზე ან წაქცეულ საყრდენზე შეხება დაუშვებელია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს კლამიანთა მარცხი.

პარძალულია: საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენებსა და კტ-ზე (კომპლექტურ სტრანსფორმატორ ქვესადგურზე) ასვლა, საყრდენებსა და სა

ყრდენებზე რაიმე საგნების შეხება, ხაზის საყრდენებსა და ისოლატორებზე ქვების, თოფისა და სხვა საგნების სროლა, საყრდენებსა და კტ-ზე ცხოველთა დაბმა, უცხო პირების ყოფნა ელქსელების ტერიტორიაზე და მათ მიერ 0,4-6-10-35-110 კილოვოლტიანი, ელექტროგადამცემი მოწყობილობების კარებების გაღება და შესვლა, ელექტროდანადგარების გამოტოვვა და ჩართვა, რაიმე სამუშაოების წარმოება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მარცხი.

ელექტროქსელის ობიექტებთან და საყრდენებთან მისასვლელი გზების ჩახერვა და სხვა.

„ელექტრული ქსელების დაცვის წესებით, საპაერო ხაზების გასწვრივ მიწის ნაკვეთისა და საპაერო სივრცის სახით, სახის ორივე მხარეს, განაპირა სადენებიდან გამოიყოფა ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონა, რომელიც დამოკიდებულია ხაზის ძაბვის სიდიდეზე:

220-380 ვოლტი ძაბვის საპაერო ელხაზებისათვის არის ორი მეტრი, 6-10-კილოვოლტი ძაბვის საპაერო ელხაზებისათვის—10 მეტრი, 35-110-220 და

500 კილოვოლტიანი საპაერო ელხაზებისათვის კი შესაბამისად 15-20-25 და 30 მეტრი, 0,4-6-10 კილოვოლტიანი საკაბელო ხაზებისათვის—ერთი მეტრი.

ელგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში, ხაზების მფლობელი ორგანიზაციის წერილობითი ხელმოწერის გარეშე კატეგორიულად აკრძალულია:

—ყოველგვარი სამშენებლო, სამონტაჟო, საკონსტრუქციო, სამთო, დატვირთვა-გადმოტვირთვის (როგორც ხელით ასევე ავტომატურად), ბურღვა, აფეთქებითი, მიწის სათხრელი, მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება, კარიერების გახსნა, დამხმარე სათავსებისა და ცხოველთა ფარეხების მოწყობა;

—ხეებისა და ბუჩქების დარგვა, გაჩეხვა და მოჭრა, ბაღებისა და ვენახების შპალერებისა და ლითონის მავთულების მოწყობა, რწყვის წარმოება;

—იმ ავტომატების, მექანიზმების, კომბაინების, ამწეების, ექსკავატორების გავლა, რომელთა სიმაღლე ტვირთითა და უტვირთოდ აღემატება 3 მეტრს;

—მიწის ქვეშ საკაბელო

ხაზების დაცვის ზონაში 30 სანტიმეტრზე მეტ სიღრმეზე მიწის სამუშაოების წარმოება და გრუბრის პლანირება.

—ავტომატული ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში:

—საწვავ-საზეთი მასალების შენახვა;

—მოსავლის, თივის, შეშის, სასუქების შეგროვება და შენახვა, ცეცხლის დაწვობა;

—ცხოველების აკრება, დაბმა და გაშვება;

—სპორტული მოედნების, სტადიონების, ზაფხულის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მოსადგელების მოწყობა, ყველა სახის ავტომატებისა და მექანიზმების დაყენება, მებრუნევი ლიხისძიებების მოწყობა, რაც დაკავშირებულია ხალხის თავმყრასთან, ელექტროშედულების წარმოება;

—ავტომატის აწეული ძარით გავლა.

გთხოვთ საპროექტო, საშენებლო ორგანიზაციებს, კერძო პირებსა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში და ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობილობების ახლოს შენობა-ნაგ-

ებობების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და სამონტაჟო სამუშაოები აწარმოონ „ელექტროდანადგარების მოწყობისა და ელექტრული ქსელების დაცვის წესების“ დაცვით და მხოლოდ ელექტროქსელთან წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში სამუშაოების წარმოების წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევები, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროგადამცემი მოწყობილობების, მანქანა-მექანიზმების დაზიანება და მომხმარებლებს ხანგრძლივი დროით შეუწყდეთ ელექტროენერგია.

საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობას, რომლებსაც თავიანთი შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები განლაგებული აქვთ ელქსელების დაცვის ზონაში საწარმო-ფოდ უნდა მოაწესრიგონ თავიანთი მეურნეობები ზემოთ, აღნიშნული წესების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულის გამო ელექტროგადამცემი ხაზების მიერ გამოწვეული ზარალი არ იქნება ანაზღაურებული და ელექტროქსელი თავიდან ხსენს პასუხისმგებლობას.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

